**გაზეთი ღირს**

| თოვე | მან. კ. | თოვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892



გაზეთი „**ივერია**“ მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს **8 მან. 75 კაპ.**

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 18 მარტს,
ქ-ნ **ძნელაძისა**, ბ-ნთ **აბაშიძესი**, **ივერიელისა** და **საოპერო ქალთა და კაცთა ხოროს** მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
**მეორედ:**

## ნატვრის თვალი

კომიკური ოპერა 3 მოქ., მუსიკა ოდრანისა, თარგ. ა. ახნაზაროვის მიერ.
მოთამაშენი: ქ-ნნი ძნელაძისა, გედევანიშვილი; ბ-ნნი აბაშიძე, ივერიელი, მანდენოვისა შათი-რიშვილი, დოდაშვილი, ავალიანი და სხ.
დირიჟორი ბ-ნი ფალიაშვილი.
რეჟისორი ბ-ნი ბიაზი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზედ.
ბილეთები ამ თავითვე კასაში ისყიდება.


ტფილისი, 12 მარტი

ვერაფერი ამბები მოაქვს გერმანიიდგან დეპეშებს. ჯერ ქვეყანა აალაპარაკა და აღელვა განათლების მინისტრის გრაფ ცედლიცის სასკოლო კანონ-პროექტმა, რომელიც დიდს თავისუფლებას ანიჭებს სასკოლო საქმეებში სამღვდელოებას. მერე ბრანდერბურგის სიტყვამ, იმპერატორის მიერ წარმოთქმულმა, სულ ცეცხლზედ ნავთი დაასხა და უიმისოდაც ცუდს გუნებაზედ დამდგარი საზოგადოება უფრო ცუდს გუნებაზედ დააყენა. ქვეყანა უფრო იმან გააოცა და თითქმის მთელს ერს იმან მოუკლა გული, რომ იმპერატორმა ისე მოურიდებლად გადაჭკრა თავისს სიტყვაში მათრახი ყველას, ვინც-კი ასე თუ ისე უკმაყოფილოა გერმანიაში. რა სათქმელია ასეთი სიტყვებიო: ვისაც არ მოსწონს გერმანიაში საქმეთა მსვლელობა, განიბნიოს ფერხთა თვისთაგან გერმანიის მტვერი და მიბრძანდეს, სადაც უჯობდესო. გაზეთებმა გამოსთვალეს კიდეც, რომ თითქმის 26 მილიონი სული უკმაყოფილოა დღეს, არ მოსწონს დღევანდელი წეს-წყობილება გერმანიისაო, და ყველა რომ აიბარგოს სამშობლოდამ, ხომ ქვეყანა გაუდაბურდა, აოხრდა და გავერანდაო. გერმანიის იმპერატორმა-კი ეს თავისი სიტყვა ოქროს ასოებით დააწერინა ცალკე ფიცარზედ, დააწერინა აგრეთვე ეტრატზედ, თითონ მოაწერა ზედ ხელი და დაურიგა სახსოვრად სხვა-და-სხვა სახელმწიფო დაწესებულებას. რამდენსამე გაზეთს დავა აუტეხა ბრალმდებელთა ინსტიტუტმა, თქვენის ლაპარაკით იმპერატორის მიერ წარმოთქმულის სიტყვის გამო შეურაცხჰყავით მისი უდიდებულესობაო.

ყოველ ამ უსიამოვნო ამბავს ზედ მოჰყვა ბერლინის ქუჩებში არეულობა მუშათა და უსაქმოდ დარჩენილთა, რაიცა ძალიან იშვიათი შემთხვევაა გერმანიაში. ამ უწესოების დროს იმპერატორმა ვილჰელმმა ეტლით გაიარა აჯანყებულ ხალხით გაჭედილს ქუჩაზე. პირველში იმპერატორი სრულიად გულ-დამშვიდებული იყო თურმე, მაგრამ როცა ხალხი გარს შემოერტყა და ძალიან მიუახლოვდა ეტლს, იმპერატორი გაფითრდა და ერთს ხანად ხმალზედაც წაივლო ხელი. მადლობა ღმერთს, რომ გულ-ჩქარისა და გულ-სწრაფის იმპერატორის ეტლი მალე გაშორდა ამ ქუჩას, თორემ, ვინ იცის, შეიძლება ისეთი რამ უბედურება დატრიალებულიყო, რომლის შედეგი საშინელება რამ იქმნებოდაო, ამბობს ერთი გერმანული გაზეთი.

დასასრულ, უნდა მოვიხსენიოთ ისიცა, რომ გერმანიაში ამ ჟამად სამინისტრო კრიზისია. გრაფი ცედლიცი, ავტორი ზემოხსენებულის სასკოლო კანონ-პროექტისა, იძულებულ იქმნა სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი შეეტანა. ანკი მეტი რა ღონე ჰქონდა, რომ სამმა მეოთხედმა გერმანიის ერისამ დიდი და მძლავრი წინააღმდეგობა გაუწია ამ კანონ-პროექტს. მართალია, ეფიქრებოდათ, რომ ვაი თუ ჩვენმა იმპერატორმა აღარას მიაქციოს ყურადღება და თავისი გაიტანოს, როგორც თავისი გაიტანა იუნკრებისათვის ეგზამენების შემოღების შესახებ და ბევრს სხვა საგანშიაც, თუმცა კომისიები და თითონ პარლამენტიც-კი წინააღმდეგნი იყვნენო, მაგრამ ეს შიში როგორღაც არა მართლდება. დეპეშამ უკვე მოიტანა ამბავი, რომ გრაფ ცედლიცის თხოვნა სამსახურიდგან გადადგომის თაობაზე იმპერატორის მიერ შეწყნარებულ იქმნაო.

შესაძლებელია, ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ სასკოლო კანონ-პროექტი უკვე დამარხულია, მაგრამ ნიშანი-კია ამისი.

საზოგადოდ, გერმანიის იმპერატორი დიდს დაუდგრომლობასა, ხასიათის ცვალებადობასა და ხშირად დიდს თავ-შეუკავებლობასაც იჩენს. ამ გარემოების გამო გერმანიის უკეთესნი შვილნი მუდამ ფიქრსა და საგონებელში არიან. არავინ დარწმუნებით არ იცის, რომ ხვალაც მშვიდობიანი დღე გაუთენდება ქვეყანას და თანაც არავის არ ავიწყდება ის სიტყვა გერმანიის იმპერატორისა, რომელშიაც მან სთქვა, 18 კორპუსი მხედრობა რომ სულ გამიწყდეს და 46 მილიონი ქვეშევრდომი, ერთს ფეხის დადგმა მიწასაც არავის არ დავუთმობო.

გ.

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 10 მარტს, პოლიციის მეცხრე განყოფილებაში ერთი ქალი მივიდა „ლიონის“ სასტუმროში და ოთახი იქირავა. შევიდა ამ ოთახში და ნაშუადღევის პირველს საათზედ იქიდგან რევოლვერის ხმა მოისმა. მაშინვე შეცვივდნენ ღ მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს დაჭრილი ქალი. ეს ქალი აღმოჩნდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მემაშინეს ცოლი, ვალენტინა სიმონოვისა, 35 წლისა. ტყვია მოხვედრილი აქვს პატარა მუცელში. გამომძიებელს აუხსნა ავადმყოფმა, რომ თავის მოკვლა მინდოდა, გულში უნდა დამეკრა რევოლვერი, ვმართავდი, მაგრამ ამ დროს უცებ გამივარდა და სხვა ალაგას მოხვდაო. თავის მოკვლის მიზეზი ის იყო, რომ ქმარმა თავი მომაბეზრა. თუმცა რამდენიმე წელიწადია, სასამართლოსაგან გაყრილნი ვართ, მაგრამ მაინც არ მისვენებსო. ოთხი თვეა ჩემი ბინა არ იცოდა და მოსვენებით ვიყავი, მაგრამ ბოლოს მომძებნა, მოვიდა, ყმაწვილი წამართვა და რევოლვერით დამემუქრა, მოგკლავო. ვალენტინა სიმონოვისას საშიში არა სჭირს-რა.

*** გუშინ-წინ რკინის გზის სადგურს გორში შემდეგი ამბავი მოხდა: ტფილისიდგან მიდიოდა მატარებელი № 50. მემაშინემ წყალის მილთან გააჩერა ორთქლ-მავალი. ამ დროს გრაკლისკენ უნდა წამოსულიყო საქონლის მატარებელი № 37. წამოვიდა, მაგრამ გზა სრულად თავისუფალი არ იყო და ორთქლ-მავალი ტფილისიდგან მისულის მატარებლის ვაგონებს დაეჯახა. ამის გამო ლიანდაგიდგან გადავარდა და დაიმსხვრა 6 ვაგონი გაჩერებულის მატარებლისა და მიმავალი ორლულიანი ორთქლ-მავალი. კაცთაგანი, საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა. ეს ამბავი არ მოხდებოდა, რომ ან მეორე მდგარიყო თავისს ადგილას, ან კიდევ გაჩერებუ-

## ფელეტონი

### როგორ მოვიქცეთ?

(დასასრული. იხ. „ივერია“, № 54)

აი რა ეწერა ამ საგნის შესახებ ზემოხსენებულს წიგნში:

„ცხოვრება მოუთმენელად მოელის ისეთსავე დიდ-მნიშვნელოვანს ცვლილებას, როგორიც იყო გლეხების განთავისუფლება. ეს მოსალოდნელი ცვლილება არის განთავისუფლება შრომისა.

„შრომა და საქმის დაწყება თავისუფალი უნდა იყოს“—აი ის დევიზი, რომელსაც მოკლებულია ჩვენი ცხოვრება და რომლის მოკლებაც საშინლადა სჩაგრავს ყველას: შეძლებულსაც, შეუძლებელსაც, უპირატესობა მინიჭებულს წოდებასაცა და უბრალო მუშა ხალხსაც. ბატონ-ყმობის მოსპობის დროს დაგვავიწყდა განგვეთავისუფლებინა შრომა და საქმის დაწყება ერის მიერ და ამის გამო სულიერი ცხოვრება მთელის სახელმწიფოს მცხოვრებთა ისევ შეხუთულია კანცელიარიზმით.

„პაერი, წყალი და თავისუფალი მიმოსვლა სახელმწიფოში—აი ის სამი უმთავრესი პირობა, რომელიც საჭიროა კაცისათვის, თუ უნდა, რომ წევრი იყოს საზოგადოებისა და ამასთანავე მშრომელიც. სივრცე რუსეთის იმპერიისა, გაფანტულად ბინადრობა ხალხისა და გზების უვარგისობა შეუძლებლად ჰხდის, რომ კერძო კაცმა მარტო თავისის ძალღონით რამ საქმე დაიწყოს. აი სწორედ ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ ჩვენში საზოგადო მიწად-მფლობელობა იციან და ყოველს საქმესაც შეერთებულის ძალით, დასობით იწყებენ. როგორც ვიცით, სხვაგან საშოვარზედ წასვლაც, „ბურლაკობის“ მსგავსად, ჩვენმა ხალხმა დასობითვე იცის.

ამ სახით ხალხის შრომის განსათავისუფლებლად უწინარეს ყოვლისა საჭიროა პასპორტები მოისპოს და ხალხს ნება მიეცეს, რომ დაუბრკოლებლად შეადგინონ და დაარსონ ხოლმე ადგილობრივ პირობათა მიხედვით ყოველ გვარი დასი და ასსოციაცია სამრეწველო და სხვა გვარ საქმის დასაწყებად შეერთებულის ძალით. ეს ერთ გვარად საჭიროა როგორც ხალხის საქმიანობისა და მრეწველობის გასავრცელებლადა ღ გასაძლიერებლად, ისე დიდის საქმეების აღორძინებისათვის ხელ-შესაწყობადაც. დასობით, შეერთებულის ძალით მუშაობა ერთი-ერთმანეთის დახმარებაზეა დამყარებული და ეს პირობა აუცილებლად საჭიროა ყოველის საქმის გასაძლიერებლად. იმას ხომ თქმა აღარ უნდა, რომ ასეთი წესი შრომისა ძლიერ აადვილებს სატეხნიკო მხარეს მუშაობისას.

„ვიტყვი მხოლოდ, რომ დასობა მუშა კაცისათვის სწორედ მშობელი დედაა. დასობის შემწეობით გლეხი უფრო ადვილად შოულობს საქმეს, სესხს და უფრო ადვილადვე ასაღებს თავისს ნაწარმოებს და აუკეთესებს ყოველსავე დარგს მრეწველობისას და სხვ. დიდის საქმის დაწყებისათვის დასობით მუშაობა იარაღია წარმოების გაადვილებისა ისეთის ყაირათის გაწევით, რომელიც არც თვით მუშათათვის იქნება მავნებელი და სამძიმო.

„მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ხალხის შრომისა და საქმიანობის განთავისუფლებისა. უმთავრესად ხალხის შრომასა და საქმიანობას სულს უხუთავს მოხელეების ფორმალიზმი, გაჭიანურებული და დაუსრულებელი ტრიალი საქმისა (ვოლოკიტა), მექრთამეობა, რომელსაც მდაბიოდ „გასაპნვას“ ეძახიან და ურომლისოდაც მართლა ვერც ერთი საქმე ვერ წაიწევს წინ. აი სწორედ ეს ბოროტებანი უნდა მოშორდეს თავიდგან ხალხის შრომასა და ამათაგან უნდა განთავისუფლდეს. მთავრობამაც აღიარა, რომ ეს საზოგადო სახელმწიფო სენი არსებობს და სწყლავს საზოგადოებას. თვით მთავრობავე იბრძოდა ამ სენის წინააღმდეგ, მაგრამ მხოლოდ საბიუროკრატიო მძარცველობის მეთაურებს ჩაჰკიდა ხელი, სახელდობრ, მაკშეევებს, ებუშებს და სხვ. ხოლო წვრილფეხი მწერები ისევ ისე დაუბრკოლებლად განაგრძობენ თავისს სამარცხვინო მოქმედებას და ანადგურებენ ხალხის ნაჭირნახულევს. მაგრამ განა შესაძლებელია ხელი მოჰკიდოს კაცმა ამ მწერებს და ან მათი ნაზიანევი იანგარიშოს? კითხვა არ უნდა, ძლიერ ადვილია. შემოიღეთ, მაგალითად, „საჩივრის ჩასაწერი დავთრები“ მთავრობის ყოველს დაწესებულებაში დიდიდგან და მაღლიდგან მოკიდებული პატარა და დაბალ დაწესებულებამდე და დაინახავთ, რომ წყლული კანცელიარიისა მაშინვე გამომჟღავნდება და გამოაშკარავდება.

„მაგრამ უფრო ვრცლად უნდა განვიხილოთ ეს საგანი. როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ შრომა განვათავისუფლოთ ფორმალიზმისა, კანცელარიის „ვოლოკიტისა“ და მექრთამეობისაგან და ამის მაგიერ ყველგან დავაწესოთ საქმის რიგიანი წარმოება საეკონომიო ცხოვრებიდგან მოკიდებული გასართობ საქმემდეც-კი? როგორ მოვახერხოთ, რომ მოხელენი მსახურნი იყვნენ საზოგადოებისა და არა ბატონები?

„ამ საგნის გადასაწყვეტად ერთი უმთავრესი პირობა უნდა დავიცვათ: იმის მაგიერ, რომ აწინდელი ადმინისტრაცია ყოველს საქმეში ერევა, უნდა მხოლოდ უბრალო ზედამხედველობა დავაწესოთ, რომელმაც მარტო მაშინ უნდა იჩინოს ხოლმე თავი, როცა კანონს ვინმე დაარღვევს. რაც უნდა სასარგებლო და არა

ლის მატარებლის კონდუქტორს წითელი ფარანი ეჩვენებინა კანონისამებრ, მაგრამ არც ერთი და არც მეორე თავისს ალაგას არ იყვნენ.

გორის სადგურის უფროსმა ეს ამბავი ტფილისში აცნობა და აქედგან საქმის გამოსაძიებლად მაშინვე გაემგზავრა ბ-ნი დიმჩევსკი.

⁂ ამ ბოლოს დროს ტფილისში კარგი წესი შემოიღეს. ქალაქის გამგეობის საქიმიო ლაბორატორია სინჯავს ღორებს და რომელიც სალი აღმოჩნდება, ზედ ნიშანს ადებს, ასე რომ მყიდველს შეუძლიან დარწმუნებული იყოს, რომ მოწამლული ღორი არ შეხვდება. ლაბორატორია მხოლოდ 25 კაპ. იღებს თითო ბარკალის გასინჯვისათვის.

⁂ როგორც შევიტყეთ, ტფილისის პოლიცმეისტერს განუზრახავს ორივე ღამის თავშესაფარი, ჩუღურეთისა და რიყისა, შეაერთოს. ორსავე თავ-შესაფარში ამ ჟამად ორასამდე რუსეთიდგან გადმოხიზნულია შეფარებული. თავშესაფარი ორად იმიტომ იქმნა განაწილებული, რომ ამას წინად ღამის თავშესაფარში ჯერ ოთხი კაცი გახდა შავის სახადით ავად და მერე ორი, სულ ექვსი სული.

⁂ სურგეის სასოფლო საზოგადოება (მანგლისს ახლოს): ჩვენს საზოგადოებაში გადამდები სენი ყელჭირვება გაჩნდა. ოთხ მარტიდგან მოკიდებული რვა მარტამდე ამ სენით ავად გახდა ორი და ორივენი გარდაიცვალნენ. მას შემდეგ ჯერ ჯერობით არავინ გამხდარა ავად, თუმცა ვშიშობთ-კი, მართლა აქაურობას არ მოედოს და მუსრი არ გაავლოს.

⁂ შარშანდელ წლის განმავლობაში ქალაქის გამგეობიდგან გაუტანიათ სავაჭრო დოკუმენტები: 82 პირველის გილდის ვაჭარს, 656 მეორე გილდიისას, სავაჭრო მოწმობა წვრილმან საქონლისა 1794 კაცს, სატარებელ საქონლისა 102 მეწვრილმანეს, ნოქრის მოწმობა 1399 კაცს, სხვა-და-სხვა წარმოების მოწმობა 1049 კაცს. ამ სახით შარშან ვაჭრობის მწარმოებელთა რიცხვი ყოფილა ტფილისში 5082.

⁂ ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში გამოკიდებული იყო ყულაბი „წითელის ჯვარისა“ დამშეულთა სასარგებლოდ. გუშინ ეს ყულაბი სასწავლებლის დირექტორსა და მოხელეთ უნახავთ გატეხილი. შიგ მხოლოდ რამდენიმე ცალი შავი ფული-ღა აღმოჩენილა. არავინ არ იცის, ვინა ყოფილან ბოროტ-მოქმედნი.

⁂ ტფილისში 10 მარტს დეპეშა მოსულა სოხუმიდგან, რომ ამ დღეებში შავს ზღვაზედ დიდი ღელვა იყოო. ამბობენ, რომ ერთი გემი დაღუპულაო.

⁂ გუშინ-წინ ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია შემდეგი მართლა რომ ახირებული საქმე. წარსულს ზაფხულს ერთი ახალგაზდა აქციზის მოხელე მუშტაიდში წასულა სასეირნოდ. მიბრუნებულა იქვე და 6 კაპეიკის ღილიფარა (რუსულად რომ „სემიჩკას“ ეძახიან) უყიდნია. წამოსულა მუშტაიდიდგან ახალგაზდა მოხელე მიხეილის ქუჩით და კუკიის ხიდთან ზელცერის წყალის დასალევად მიბრუნებულა ზემელთან. აქ როცა ცივის წყალით გაეგრილებინა გული, ახლა ნაყიდი ღილიფარა აეთვალ-ჩაეთვალიერებინა და, ცოტა არ იყოს, ჭკუაში ვერ დასჯდომოდა: ამის გამყიდველმა სწორედ წონაში მომატყუაო. საბუთიანად ბრაზ-მორეული და გაცამწყრალი მოხელე აქციზისა მსწრაფლ გაბრუნებულა მუშტაიდისაკენ, რომ ულირსი მოვაჭრე არაქელოვი ღირსეულად დაესაჯა მოტყუებისათვის. მისულა და თან პოლიციის მოხელენიც მიუყვანია საქმის შესამოწმებლად. აუწონიათ ნაყიდი ღილიფარაც, გაუსინჯავთ სასწორი და საწონებიც და—დახეთ მიხვედრილობას აქციზის მოხელისას!—ყველაფერში სიყალბე აღმოუჩენიათ: სასწორიც მრუდე ყოფილა, საწონებიც კანონიერ დამღა-დაუსმელი და ნაყიდს ღილიფარასაც ასიოდე მარცვალი ჰკლებია, გარდა იმისა, რაც აქციზის მოხელემ თავისით გულ-მართლად აღიარა, ამდენი და ამდენი მარცვალი, აქედგან რომ წავედი, მაშინ გზაში შევჭამე და ამდენი და ამდენი კიდევ, იქიდგან რომ აღელვებულ-აღშფოთებული მოვდიოდი, გულის მოსაფხანადა და ბრაზის გასაქარვებლად გავაკნატუნეო. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, დაიწერა შესაფერი ოქმი და სასამართლოს გარდაეცა სრულის კანონიერის რიგითა და წესით. სასამართლომ სასწორიც ყალბად სცნა, საწონებიც, მაგრამ ბ-ნი არაქელოვი-კი უგანზრახველად დამნაშავედ დასახა და ასეთი მსჯავრი დასდო: ან ორი მანეთი ჯარიმა გარდახდეს არაქელოვს და, თუ ამას ვერ გადიხდის, ერთის დღით დაპატიმრებულ იქმნა პოლიციაშიო.

მაშ ახირებული ამბავი არ არის 6 კაპეიკის ღილიფარა, ახალგაზდა სასტიკი მეკანონე მოხელე აქციზისა, ოქმის წერა, სხვა ათასი დავიდარაბა და ბოლოს-კი ორი მანეთი ჯარიმა?!

⁂ იბეჭდება ამ ჟამად ტფილისის ერთ-ერთს სტამბაში მესამე გამოცემად „კონა პირველ-დაწყებით მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან“, შედგენილი ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის მიერ.

⁂ ოზურგეთი: აი დაწვრილებით ამბავი იმისი, რაც უკვე დეპეშით შეგატყობინეთ ყაჩაღის ღლონტის მოკვლის შესახებ სოფ. მელექედურში (ოზურგეთის მახლობლად ორს ვერსზედ) 9 ამა თთვისას, დილით, ძალიან ადრე, პოლიციის ბოქაული ბ-ნი დუმბაძე და ბოქაულის თანაშემწე ჯარის-კაცებითა და ყაზახ რუსებით გაემგზავრნენ ოზურგეთიდგან პირველი მათგანი მელექედურს და მეორე დვაბზუს, რომ ავაზაკთა კვალი ეპოვნათ. ბ-ნი დუმბაძე მიდის პირდაპირ ღლონტის სახლში, სადაც ნახავს ავაზაკის მეუღლესა და წვრილშვილებს, რომელთ საცოდავი სანახაობა სიბრალულის გრძნობას აღძრავს იმის გულში და ურჩევს ამ მრუდე გზაზე დამდგარ კაცის მეუღლეს, რომ თუ-კი იცი, სადაც არის შენი ქმარი, გამოტყდი, გვითხარი, შევარიგეთ და შეიძლება სასჯელი შეუმსუბუქდესო. ამ გვარი რჩევა, რაღა თქმა უნდა, ნიადაგ ბედის მომჩივან საბრალო ადამიანზედ ვერ იმოქმედებს. ავაზაკის მეუღლე მხოლოდ „არ ვიცით“ უპასუხებს ბოქაულს, მაგრამ ამასთანავე ძალიან ეტყობა აღელვება. ალბად წინდაწინვე ჰგრძნობს, რაც უნდა მოხდეს და რა საზარელი სურათი უნდა წარმოუდგეს თვალ წინ. ამ აღელვებას ბოქაული ამჩნევს და მხლებელთ ეუბნება, რომ სახლი გაჩხრიკონ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ღლონტს ჰქონია ორი სახლი (თითონ ჩინებული დურგალი და მუშა-კაცი იყოო, ამბობენ). ერთში, სადაც ცოლ-შვილი იდგა, ვერაფერი აღმოუჩენიათ, ხოლო მეორეში ბანზედ სამს ავაზაკს ერთად წასწყდომიან თავს. ავაზაკთ, რაკი შეუნიშნავთ, კარგად არ არის საქმეო, თოფის სროლა აუტეხიათ და თან გაქცევაც მოუნდომებიათ. პირველად ღლონტი გამოვარდნილა გარედ, მაგრამ დაუჭრიათ. რამდენსამე მანძილზედ გაქცეულა, მაგრამ სისხლისაგან დაცლილა და წაქცეულა. ცოტა ხნის შემდეგ კიდეც განუტევებია მრავალ ტანჯული სული. დანარჩენი ორნი გაქცეულან და გაქცევის დროს მოუსწვრიათ ორის მდევრის დაჭრა, ერთის დარაჯისა, გვარად ვაშალომიძესი, და ერთისაც ყაზახ-რუსისა. ვაშალომიძე მძიმედ არის დაჭრილი, ხოლო ყაზახ-რუსი—მსუბუქად.

თოფის ხმასა და ყვირილზედ დვაბზუში წასულმა პოლიციის ბოქაულის თანაშემწემაც მოუსწრო და გამოუდგა გაქცეულებს, მაგრამ გვიანღა იყო. ავაზაკებმა ნასაკირალის ტყეში მოასწრეს თავის შეფარება.

ამ ნაირად ერთი ავაზაკი მოგვაკლდა, მაგრამ ავაზაკთა რიცხვს-კი არაფერი აკლდება. ერთს მოჰკლავენ, ორი მირბის და ორს მოჰკლავენ—სამი.

ამბობენ, რომ მესამე ამხანაგი, რომელიც ღლონტთან და მიქელაიშვილთან უნახავთ, ამას წინად სამხედრო საპყრობილიდგან გაქცეული ჯარის-კაცი სალუქვაძეაო. ამათ თუ ხუციშვილის მკვლელი თავართქილაძეც, რომელიც ჯერ არ ჩაუგდია მართლ-მსაჯულებას ხელში, შეუერთდა, ხელ-ახლად სამი გახდება ავაზაკთა რიცხვი და ხელ-ახლდ დაიწყება წიოკობა მაზრისა.

⁂ ოზურგეთი: 9 მარტს, დილის 6 საათზედ, ბატონმა პოლიციის ბოქაულმა ი. გ. დუმბაძემ მოჰკლა ორის წლის გავარდნილი ყაჩაღი მიხეილ ღლონტი. ეს ის დუმბაძე არის, რომელმაც ორის თთვის წინად ზუგდიდის მაზრაში შეიპყრო სახელ-განთქმული ყაჩაღები ასკურავა და ტარნოვი. წინადაც გურიაში ბოქაულად მსახურობის დროს რამდენიმე ყაჩაღი შეიპყრა და მოჰკლა. ბატონი დუმბაძე აგერ ორი წელიწადია, რაც გადაყვანილ იქნა გურიიდგან სამეგრელოში, მხოლოდ ამ ერთის თთვის წინად განგებ ყაჩაღების მოსასპობად გურიაში გამოგზავნეს დროებით. ბატონს დუმბაძეს ოზურგეთში ჩამოსვლის შემდეგ დიდი ხანი არ დასჭირებია იმის გაგებისათვის, თუ ყაჩაღებთან ვინ იყო დამეგობრებული და ვინ უზიდავდა საჭმელ-სასმელს. ბოლოს ისიც-კი გაიგო, მესტი და საცვეთი სად შეაკერვინეს და როდის უნდა მიეტანათ და ვისას. ამას შემდეგ დღეს, დილის ხუთს საათზედ, წაიყვანა რამდენიმე ყაზახი-რუსი და და სამი მოდარაჯე გურული. სამივე ყაჩაღი მოამწყვდიეს ღლონტის სახლში: ღლონტი, მიქელაიშვილი და სალუქვაძე გაიქცნენ. ერთი მათგანი დაჭრილი არის, ღლონტი-კი მოჰკლეს. მდევართა შორის დაიჭრნენ ვაშალომიძე და ერთი ყაზახი. სიკვდილის ფიქრი არა აქვთ.

⁂ ფინლიანდიის მცხოვრებელს ალბერტ ლინგრენს განზრახვა აქვს ტფილისში სახამებლის ქარხანა გამართოს. ლინგრენს უკვე თხოვნა მიურთმევია გუბერნატორისა და ქალაქის გამგეობისათვის, რომ ამ ქარხნის გამართვის ნება-რთვა მომეცითო („Т. Л.“).

⁂ შულავერი: ბორჩალოს მაზრის სოფ. შულავერიდგან იწერებიან, რომ იქ შავი სახადი გაჩენილა. ადმინის-

---

რთულ საქმის დაწყება განვიზრახოთ და დავაპიროთ, ყოველთვის უთუოდ ჯერ ასე ვვარაუდობთ: ამ ჟამად შეიძლება, თუ არა? მომცემენ ნებას, თუ არა? რამდენი დრო გავა, ვიდრე ნება-რთვას მივიღებთ? და უმთავრესად-კი ამასა ვფიქრობთ: რამდენი დაგვიჯდება ნება-რთვის მიღებაო? აი რამდენიმე მაგალითი ამისი. სახლისა და ან ქარხნის წარწერიანი ფიცარი რომ ერთის ქუჩიდგან მეორეზედ გადაიტანოს კაცმა, ხშირად ამის ნება-რთვის მისაღებად ორი თთვეა ხოლმე საჭირო. ქალაქის პოლიციის უფროსის გამგეობიდგან რომ რომელისამე ქაღალდის პასუხი გამოვიდეს, ორი კვირა—ერთი თთვე დრო გადის. ორთქლით სამუშავებელ მანქანის გამართვას ისეთი რთული დავიდარაბა სჭირია, რომ ვიდრე იმას აღვწერდეთ, ჩვენის საგნის შესახებ ლაპარაკს გავათავებთ კიდეც. ერთის სიტყვით, ამ ჟამად ეს საქმე პარადოქსამდეა მისული. აი, სწორედ ეს გარემოება ჰხუთავს ხალხის საქმიანობას და გზას ულობავს, სჩაგრავს შრომას, ამცირებს, შეურაცხ ჰყოფს, ატყვევებს და ყმადა ჰხდის. თუ გვინდა, რომ შევაჩეროთ ეს ბოროტება, საქმიანობა და მშრომელი ხალხი უნდა განვათავისუფლოთ მთავრობის ბჭყალებისაგან.

„საჭიროა ერთხელვე ვიცოდეთ, რა საქმის დაწყება შეგვიძლიან უბრალო განცხადების ძალით, მხოლოდ საზოგადო კანონების მიხედვით და რომლის საქმის დასაწყებად უნდა მივიღოთ ხოლმე განსაკუთრებული ნება-რთვა.

„ყოველისავე საქმის დაწყების ნება-რთვა ადგილობრივვე უნდა მისცეს მსურველს პირველმავე ინსტანციამ, ხოლო საქმის განმზრახველს ნება უნდა ჰქონდეს უჩივლოს ამ ადმინისტრაციას, თუ საჭირო შეიქნება, ადგილობრივსავე სასამართლოში და არა სენატში. ამას გარდა, ვადა უნდა დაინიშნოს, რომლის განმავლობაშიაც მსურველმა უთუოდ უნდა მიიღოს პასუხი თავისის თხოვნისა და საჩივრისა. ამასთანავე სასტიკად აღკრძალულ უნდა იქმნას, რომ მთავრობამ თავისთან არ დაიბაროს ხოლმე კაცი და საქმეს არ მოაცდინოს. პირ-იქით, დანიშნულს ვადაზე თვით მთავრობის წარმომადგენელთ უნდა იარონ სოფლით-სოფლად ადგილობრივ საჩივრისა და თხოვნების არზის მისაღებად, განაჩენის გამოსაცხადებლად და საჭირო ქაღალდების დასარიგებლად. იმის მაგიერ, რომ ერთის ადგილიდგან რამდენიმე კაცი დაიბაროს საქმის გასარჩევად, თვით სასამართლო უნდა მივიდეს სოფლად და იქ ადგილობრივ გაარჩიოს გასარჩევი საქმე და სხვა...

„იმათ შესახებ, რომელნიც იძახიან „ძლიერი ადმინისტრაციაა საჭიროო“, ვიტყვით შემდეგს: თუ ისე მოვაწყობთ საქმეს, რომ ადმინისტრაცია საზოგადოებისათვის არსებობდეს და არა საზოგადოება ადმინისტრაციისათვის, ეს თვით ადმინისტრაციის სიკეთედა, რიგიანობადა და სიძლიერედ უნდა ჩაითვალოს, რადგან მაშინ იგი პატივისცემას დაიმსახურებს საზოგადოებისა და ხალხისას. სხვა ღონისძიება „ძლიერის ადმინისტრაციის“ შესაქმნელად ჯერ-ჯერობით კაცობრიობას არა აღმოუჩენია-რა.

„აი, ეს არის საზოგადო სურათი შრომისა და საქმის განთავისუფლებისა. თუ შრომა პატივისცემას მოკლებულია, მაშინ კაცსაც აღარ ექნება პატივისცემა. თუ პატივსა სცემენ შრომას, მაშასადამე, პატივსა სცემენ თვით კაცსაც. თუ დამონავებულია შრომა, დამონავებული იქმნება კაციც. სულ ერთია, როგორც უნდა გადაკეთდეს და შეიცვალოს ადგილობრივი მმართველობა, თუ საერთო სახელმძღვანელოდ ის კანონი არ იქნა შემოღებული, რომ ამორჩეული და მთავრობის მიერ დანიშნული მოხელე „უფროსი“-კი არ უნდა იყოს, არამედ მსახური საზოგადოებისა, თუნდა მოხელეთა ქცევის თაობაზედ ყველას ერთად და ცალკ-ცალკეც ნება ჰქონდეს, საჩივარი შეიტანოს ხოლმე, და სწრაფადაც გაირჩეს ეს საჩივარი, მაინც არაფერი გამოვა, ცვლილება მაინც გარეგანი იქნება და ხალხის ცხოვრების ვერც ერთს დარგს ვერაფერს ვერ შეჰმატებს და ვერ შესძლებს“.

ის წიგნი, საიდგანაც ეს ამოვწერეთ, სწორედ ამ ათის წლის წინად დაიბეჭდა, ხოლო წინად იმავე წიგნის შინაარსი გაზეთს „Новости“-ში იბეჭდებოდა რამდენისამე წლის განმავლობაში. მაშ აბა რა აფერხებს ჩვენში განხორციელებას ამ ერთ-ერთის სახელმწიფო საჭიროებისას, რომელიც სხვა სახელმწიფოებში დიდი ხანია გადასაწყვეტ საგანთა სიიდგან ამოიშალა და მხოლოდ მოგონებით-ღა თუ იგონებენ? იქნება ის გარემოება ჰბადავს ამ დაბრკოლებას, რომ მოხელენი ძლიერ ბევრნი, მაგრამ არა უზრუნველ ყოფილნი-კი არიან და ერთი-ერთმანეთის მხარე ძლიერ მტკიცედ უჭირავთ? შრომის თავისუფლება ყველასათვის საჭიროა, ვისაც-კი ჰსურს თავისი ნიჭი და ძალ-ღონე ან კერძო და ან საზოგადო საქმეს მოახმაროს. ეს თავისუფლება საჭირო არ არის მხოლოდ მოხელისათვის, რომელიც უზრუნველყოფილია და თანდათან წარჩინება ემატება. ეს თავისუფლება მისთვის არამც თუ საჭირო არ არის, არამედ მავნებელიცაა. მხოლოდ შეუგნებელს პირმოთნეს შეუძლიან ეს ჭეშმარიტება დაუმალოს თავისს თავსაცა და სხვებსაც. უკეთესი იქნებოდა, რომ ის გაზეთები, რომელნიც „Московскія Вѣдомости“-სავით ამ უკანასკნელს დროს გაცხარებულნი ლაპარაკობენ „20 რიცხვის ხალხის (ე. ი. მოხელეების) უზრუნველობისა და ხრიკების წინააღმდეგ“, უფრო ვრცლად განიხილავდნენ მნიშვნელობას მოხელეობისას კერძო და საზოგადოებურ შრომისათვის.

ს. გძელიშვილი

ტრაცია ყოველ გვარ საშუალებასა ჰხმარობს ამ სენის მოსასპობად („Т. Л.").

⁂ ქუთაისი: 10 მარტს მომხდარ ქალაქის არჩევანებზედ კენჭი უყარეს ლ. ნ. ასათიანს, რომელიც აგერ 14 წელიწადია, რაც ქუთაისის მოურავად არის, და ლ. ტ. ლოლუას. ლ. ტ. ლოლუას ამოუვიდა 29 თეთრი და 4 შავი კენჭი, ლ. ნ. ასათიანს-კი 17 თეთრი და 16 შავი კენჭი. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, ქუთაისის ქალაქის მოურავად ამორჩეულ იქმნა ბ-ნი ლოლუა და ქალაქის გამგეობის წევრად-კი ბ-ნი მურადოვი.

⁂ 11 მარტს ვერის სასტუმროში სამხედრო მკურნალს ბუტკევიჩს მოჰპარეს 10,600 მანეთის ფასიანი ქაღალდები. ბ-ნმა პოლიციის ბოქაულმა სიმონოვმა უკლებლად იპოვნა დანაკარგი. ნაქურდალი სამზარეულოში, კედელსა და რკინის ლულას შუა იყო დამალული. დამნაშავეც აღმოაჩინა და შეიპყრო. ეს ამბავი შეატყობინეს მთავარ-მმართებლის დროებით აღმასრულებელს გრაფს ტატიშჩევს, რომელმაც ბრძანა მადლობა გამოეცხადოს ბოქაულს სიმონოვს ასეთის მხნე მოქმედებისათვისაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**კახეთი**, თებერვლის 20. ღმერთს ერწმუნეთ, არაფრის მოწერასაც არ ვაპირობდი, თუ ამ „მწყვდეულს" არ გავეჯავრებინე და წერის სადერდელი არ აეშალა ჩემთვის. ხუმრობა გაშვებით და მართლაც „მწყვდეულია" კახეთში: თოვლმა მოგვიმწყვდია სახლებში. ჩვენი იღბალი, რომ კახეთი უფრო ვაკე და დაცემული ალაგია, ვიდრე დაქანებული, თორემ, თქვენი მტერი, ზვავების შიშით ფეხსაც ვერ გავდგამდით გარეთ, ისეთი თოვლი მოვიდა აქ. ზამთრის ამ გვარი საქციელი არ გვიკვირს, მით უმეტეს, რომ ახალ-წლის შემდეგ სულ შავ-კუპრი ამინდები იყო აქ და ეჭვიც არა გვქონდა, რომ ამ თავის გულ-ჩათხრობილობას თოვლით დაგვირგვინებდა. სწორედ ამ თთვის თოთხმეტს დაიწყო თოვნა და აი დღესაც ისევა თოვს. კიდევ კარგი, რომ დედამიწა გამლხვალი შერჩა, თორემ თოვლის სიმაღლე საჟენს გადააჭარბებდა. ეხლა-კი ნახევარ არშინზე მეტი ვერ დასდო. აი ამ „მწყვდეულის" და რუსული ანდაზის, „лучше поздно, чѣмъ никогда"-ოს ბრალია, რომ წასულ-ჩავლილ-დაძველებული ამბები უნდა გავაახალამბაო.

ყველა საქართველოში მცხოვრებმა, მეტადრე საქართველოს ღვიძლმა შვილმა, დიდია თუ პატარა, ძველია თუ ახალი,—კარგად იცის, რა ჩვეულებაც არის ქართველებში—„ალილობა" შობა წინა ღამეს. ამ ჩვეულებას ყმაწვილი თუ ბერი—ყველა აღტაცებით ეგებება და, თუნდა ძალიან გულ-ნაწყენიც იყოს, ამ ღამეს თავისს მეზობლებში მაინც უნდა სთქვას „ალილო", თუ სხვა სოფელში ვერ წავა. მაგრამ ამ ჩვენმა ეხლანდელმა ცხოვრებამ რას არ უცვალა ფერი, რა არ გადაჰქმნა ასე თუ ისე, უფრო უკუღმართად-კი?! წარმოიდგინეთ, ამისთანა წმინდა ჩვეულებაც-კი, როგორიც არის „ალილო", რომელიც, ჩემის ფიქრით, მოგვაგონებს იმ ანგელოზთ გუნდს, რომელიც გალობით ამცნევდა ქვეყანას ქრისტე ღმერთის შობას და რომელმაც აუწყა ბეთლემის განაპირას მდგომ მწყემსთ მაცხოვრების დაბადება,—ამ უკუღმართმა ცხოვრებამ თავისი სახეირო მასალად, თავის სარგო ხერხად მოიხმარა, გამოიყენა... როგორც მკითხველმაც უწყის, შარშან-წინანდელ არხიმანდრიტის სიკვდილი ზემო-ხოდაშენში, სხვათა შორის, „ალილოსაც" დაჰბრალდა, რადგანაც ამ ღამეს მოხდა მკვლელობა. ესეც რომ არა ყოფილიყო, სხვა იმ გვარი ოინებიც ჩაუდენიათ მაშინ მეალილოვეთ, რომ წარსულ ალილობის დროს ადგილობრივი მთავრობა ძალა-უნებურად იძულებული გახდა აეკრძალა ეს ჩვეულება. მაგრამ ჩვეულების აკრძალვა და ძირიანად ამოგდება, რადგანაც იგი რჯულზე უმტკიცესია, როგორც ანდაზა ამბობს, ძალიან ძნელია. მაინც და მაინც მთავრობამ თავისი სცადა, ყველა სოფელში ალილობა ღამეს სოფლისავე მცხოვრებნი დააყენა დარაჯად, რომ ალილოზე აღარავის ევლო და ამით წინანდებურად აღარავის მოეთბო ხელები ქათამ-ინდაურსა და ბევრს სხვაზედაც, რაც-კი ხელ-მოსაკრავ-გასაკრავია. რასაკვირველია, როგორც მოსალოდნელიც იყო, მეალილოვეთ ეს ახალი შემოღება—დარაჯობა იუცხოვეს და კახურისაგან შეხურებულთ ბევრს დარაჯსაც მიუჟეჟეს ცხვირი, მაგრამ ძალამ თავისი გაიყვანა და მეალილოვენი ისე სავსებით და თამამად ვეღარ დადიოდენ, როგორც აქამდე... ეჭვი არ არის, რაკი ხელი შეუბრუნეს ამ ჩვეულებას, ბევრი ხანი აღარ გაივლის, რომ ტკბილს „ალილოს" ვეღარ გავიგონებთ და სრულიად ამოიფხვრება როგორც მრავალი სხვა ჩვეულება. ქრისტიანობის მხრივ რომ შევხედოთ, ბარემ სავალალოა ამ ჩვეულების დატოვება, მაგრამ რას იზამ, როცა ცხოვრება სამარცხვინო საქმის მასალად უპირობს გახდომას ამ წმინდა ჩვეულებასაც. მართლაც, ანკი რა სანატრელია ისეთი ჩვეულება, რომელიც ხელს უმართავს და აძლიერებს ავაზაკობასა და ტაციაობას! მაგრამ ესეც-კი მართალი უნდა იყოს, რომ ტყუილად ვედებით ლობე-ყორეს და ავაზაკ-ტაციობის საფუძველი სხვა მიზეზებშია. „ალილო" აქამდე-კი არ ვიცოდით, რომ ასე ავაზაკთა ბუდედ არა დროს არა ყოფილა გამხდარი ჩვენი ქვეყანა!? რომელს კუთხეს აიღებთ ჩვენის ქვეყნისას, რომ ავაზაკები არ დანავარდობდნენ... ამ მოკლე ხანში დარაჯობაც შემოიღეს სოფლებში. ყველა სოფელში ოროლი სამ-სამი კაცი ჰდარაჯობს სოფლის უმთავრესს გზაზეო. ამათ ნება აქვთ გათოკონ ყველა უდროოდროოს გამვლელ-გამომვლელი. სულს ქვეშ რომ ვსთქვათ, ისე თავს ზარ-დაცემული-კი არა ვართ კახელები ავაზაკთაგან, როგორც გურია-ქართველები დარჩია-ვაჩილებისაგან...

ამ აშკარა ავაზაკობას ჯანი გაჰვარდეს, დაფარული და ჩუმი ავაზაკობა უფრო საქმეს აჭირებს. არის იმისთანა თავშესაფარი ადგილები, სადაც დღე იმალებიან უსაქმ—უსაგნო ჯეელები, ღამ-ღამ-კი გამოდიან და ნავარდობენ გზა-გზისპირთ და ყურე-მარეებში. ასეთ ალაგებად უნდა ჩაითვალოს ქალაქის განაპირას და გზის პირებზე გამართული სამიკიტნო დუქნები. ღვთის წინაშე, თელავის პოლიციამ ეს შენიშნა და აუკრძალა კიდეც იმათ პატრონებს ვაჭრობის გაგრძობა ახალის წლიდგან, ზოგიერთებს კიდეც დაუკეტა ამ გვარი დუქნები... უკეთესი იქნებოდა, რომ პოლიცია უფრო სასტიკად მოექცეოდეს ამისთანა დაწესებულებათ და ყველგან, სადაც-კი საეჭვო ალაგია, აუკრძალავდეს იმ გვარს ვაჭრობას, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის ზნეობით გარყვნასა და დაცემას. საჭიროა აგრეთვე, პოლიციამ იმასაც მიაქციოს ყურადღება, რომ ეხლა თელავის ახლო-მახლო სოფლებში დაიარებიან ვიღაც ქლესა-მატყუარანი, ვითომდა დამშეულ-რუსეთიდამ გამოგზავნილები, როგორც თითონ ამბობენ ხალხში, სარგებლობენ ამ შემთხვევით, ჰმართავენ რაღაც სათვალთმაქცო სალამოებს, ითათბირებენ და სძარცვავენ ისედაც გაძარცულს გლეხ კაცობას. ჩემის ფიქრით, ესეც ერთგვარ ავაზაკობად უნდა ჩაითვალოს.

აქაურს ზამთარს და მის ამინდებს, ცოტა არ იყოს, თავშივე გაკვრით დავემდურე, მაგრამ ტყუილად. ზამთარსაცა და ამინდებსაც გლეხ-კაცობა ძალიან ემადლიერება: დიდი ხანია, რაც ასეთი კარგი ზამთარი ჩვენ არ გვინახავს, ჭირნახულისათვის ძალიან კარგი ამინდებია და კარგი პირიც უჩანსო, გაიძახიან მუშაკნი. ცუდი და მოსაწყენი ამინდები მარტო იმათთვის არის, ვინც მზა-მზარეულსა და სეირნობას არიან დაჩვეულნი, იმიტომ-რომ ყველგან გაუვალი ტალახებია, ვეღარ გაივლ-ვამოივლიან. თელავის ქუჩებზედ ხომ, რაღა თქმა უნდა, ისე ეგებება კაცს—ახტალა, ნაცარტუტა თუ ამოდისო. ქარით ავადმყოფთათვის-კი სახეიროა ეს, რადგანაც გურჯაანში წასვლა საბანოდ აღარ დასჭირდებათ. ბრალი იმათი, ვინც ქარისაგან არ არიან დაჭერილნი, უწადინოდ უნდა იბანონ თელავის ახტალა-ტალახებში!.. ზამთართან სამდურავი არაფერი გვაქვს, გარდა იმისა, რომ ზაფხულ-შემოდგომის ყვავილსა და სხვა სენებს არ დაგვაჯერა და ეს რაღაც ჯანაბა ინფლუენცაა ზედ მოგვისართა. ამ სენით ძალიან ბევრი ხდება ავად და ბევრიც ესალმება წუთი-სოფელს... მკურნალიო, მაგრამ მკურნალს სოფლელისათვის ვინ მოაცლის! თუნდაც რომ მოაცალონ, ეს ხუთი მანეთი მეო, ეს ორი მანეთი ეტლისაო, თუნდა ორი ვერსიც არა ჰქონდეს გასავლელი პატივცემულს, ახლა ფერშალს, ახლა წამლებს და ამასობაში გაწყალდა ისეც გაწყალებული გლეხი! ეს ერთის ნახვისთვის ახლა რომ ავადმყოფი არ მორჩეს მალე და არც მოკვდეს, რაც უფრო შესაძლებელია, და ექიმის მიყვანა, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ხუთჯერ მაინც დასჭირდეს გლეხს ავადმყოფის სანახავად, მაშინ? მაშინ მკითხველმა იანგარიშოს, თუ არ დაიზარებს... გლეხი ამდენის ფულის გადახდას ისევ სიკვდილს ირჩევს ოჯახის საყვარელის წევრისას! ამითი მაინც აიმედებს თავს: ღმერთს ასე სდომია და ნება მისი აღსრულდესო!...

სხვა რაღა გიამბოთ ჩვენებური? ღვინო, ღვთის მადლით, ბევრი გვიდგა და, რადგანაც ღვინის მუშტარი არა გვყავს, ვსვამთ, რაც ძალი და ღონე გვაქვს. ჩვენი ცუდა და უსაქმო ახალგაზდობა დღეში სამჯერ ითვრება. იმედი მაქვს, მკითხველი ქება-დიდებას არ მოგვაკლებს ამ ვაჟკაცობისათვის!

გადამიელი

## უცხოეთი

**ინგლისი.** წარსულის ორშაბათის წინა-სწორს, იმ დროს, როდესაც საზოგადოებათა პალატამ კრება დაიწყო, უკეთესნი წარმომადგენელნი ოპოზიციისა და გლადსტონის სახლობა ჩერინგ-კროსსის რკინის გზის სადგურზედ შეიკრიბნენ „ძლიერის მოხუცის" მისაგებებლად. ამათ მრავალი თანამგრძნობელნი და ცნობის მოყვარენიც შემოეხვივნენ და მოშორებით, ქუჩასა, ეზოებსა და ვესტმინსტერის სასახლის მისავალთან ხომ აუარებელი ხალხი მოგროვდა. მატარებელი, რომლითაც გლადსტონი მოვიდა, სხვა სადგურზედ გაჩერდა, ხოლო, რკინის გზის მთავრობის განკარგულებით, გლადსტონის ვაგონი მოხსნეს და ზემოხსენებულს სადგურზედ წაიღეს. მეგობრები, ნათესავნი და მეთაურნი ოპოზიციისა ისეთის დარბაისლობითა და თავ-დაჭერით მიეგებნენ გლადსტონს, როგორც ინგლისელებს შეჰფერის, ხოლო შეგროვილმა ხალხმა მხიარული ჟივილ-ხივილი შეჰქმნა. ყველამ შეატყეს, რომ გლადსტონი წლოვანების მიხედვით ძლიერ ღონიერად იყო, ასე რომ სამხრეთს საფრანგეთში მოგზაურობა ძლიერ მოჰხდენოდა. გლადსტონი რკინის გზის სადგურიდგან ეტლით წავიდა. გზა-გზა შეგროვილი ხალხი კვლავ მხიარულის ჟივილ-ხივილით ეგებებოდა. ეტლმა პარლამენტისკენ გასწია. სწორედ ამ დროს სამინისტროს ერთი წევრი პასუხს იძლეოდა იმისას, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ბერლინის კონფერენციას მუშათა საქმისასაო. უეცრად ორატორს რაღაც ხმაურობა შემოესმა და იმან უფრო გააკვირვა, რომ ეს ხმაურობა ოპოზიციისაკენ იყო. ორატორი იძულებული შეიქმნა რამდენისამე წუთით შეეწყვიტა სიტყვა. ბოლოს მიჰხვდა, რომ ოპოზიცია ასე მხიარულად თავისს მეთაურს ეგებებოდა,—დარბაზში გლადსტონი შევიდა. მნახველს რომ მოენდომებინა გამოცნობა, რამდენის წლისა არის ეს მოხუციო, უთუოდ 20-ოდე წლით ნაკლებს იტყოდა, ისეთი მხნეობა ეტყობოდა გლადსტონს თავის წლოვანებისადა გვარად.

**საფრანგეთი.** იქითს ხუთშაბათს საფრანგეთის სენატმა დაიწყო განხილვა უნივერსიტეტებში ცვლილებათა მოხდენის პროექტისა. პირველი კრება მარტო იმას მოუნდა, რომ სენატორმა შალმელ ლაკურმა სიტყვა წარმოსთქვა ამ პროექტის შესახებ. ორატორი სამინისტროს პროექტის წინააღმდეგ ლაპარაკობდა. საჭიროაო, სთქვა ორატორმა: რომ აწინდელი წეს-წყობილება საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებელთა უცვლელად დარჩეს. შეუძლებელია, რომ უმაღლესი სასწავლებლები მთავრობას არ ექვემდებარებოდეს, რადგანაც საფრანგეთში სწავლა-განათლებაც სახელმწიფოს მიერ განსაგებია დარგია, ხარჯს ამაზედ იგი სწევს და ამის გამო მთავარი გამგეობაც ამ საგნისა იმასვე ეკუთვნის. თავისის აზრის დასასაბუთებლად შალმელ ლაკურმა სხვათა შორის ისიცა სთქვა, რომ მაგ პროექტის შემდგენელებს გერმანული წეს-წყობილება ჰსურთ ჩვენს უნივერსიტეტებშიაც შემოიღონო. გაზეთებმა უკვე გაარჩიეს ლაკურის სიტყვა და ეს აზრი გამოსთქვეს: ეგ სიტყვა, მართალია, ორატორმა მშვენიერად წარმოსთქვა, მაგრამ საბუთი-კი ვერა დაასახელა-რა პროექტის საწინააღმდეგოდაო. შემდეგ კრების დროს სიტყვას წარმოსთქვამს თვით შემდგენელი პროექტისა მინისტრი ბურჟუა.

**გერმანია.** ბერლინში ამას წინად მომხდარმა უწესოებამ დიდი ოპოზიცია დაჰბადა სოციალ-დემოკრატთა მეთაურების წინააღმდეგ. ახალგაზდა სოციალ-დემოკრატები მოღალატეობასა სწამებენ თავიანთს გაზეთს „Vorwaerts"-სა და მის რედაქტორებს. მართალიც არის, სოციალ-დემოკრატთა მეთაურნი, ჟურნალისტები ლიბკნეხტი და კრონჰეიმი ისე მკაცრადა ჰკიცხავდნენ მანიფესტანტებს, რომ ღარიბი მუშა-ხალხი უთუოდ უკმაყოფილო უნდა შექმნილიყო, მით უმეტეს, რომ მოწინააღმდეგე გაზეთებიც-კი შედარებით უფრო თავ-დაჭერითა ლაპარაკობდნენ.

კითხვა არ უნდა, ამ ნაირად იმიტომ იქცეოდნენ ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსები, როგორებიც, მაგალითად, ბებელი და ლიბკნეხტი არიან, რომ მთავრობა არ გაეჯავრებინათ და სასტიკი კანონები კვლავ არ შემოეღებინებინათ სოციალისტთა წინააღმდეგ, მაგრამ აზვირთებულს ახალგაზდა მანიფესტანტებს აბა ეს როგორ დააკმაყოფილებდა. სოციალ-დემოკრატთა მეთაურებმა ჯერ მანიფესტი დაბეჭდეს და უწესოება მოსპეს და მარტო ამითი რომ გაეთავებინათ საქმე, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ არა, ამას შემდეგ მოჰყვნენ და საშინლად გაჰკიცხ-გალანძღეს უწესოების ჩამდენელნი. ეს მუშა-ხალხმაც იწყინა, თავისს წინანდელს მეთაურებს გაუდგა და დაუახლოვდა ანარხისტებსა და მრავალს სხვას, რომელნიც აგრეთვე უკმაყოფილონი არიან მთავარის გამგეობისა.

ამ შეცდომას გარდა, სოციალ-დემოკრატთა მეთაურებს სხვა დიდი შეცდომაც მოუხდათ. ამას წინად რომ გერმანიის იმპერატორმა სიტყვა წარმოსთქვა, მრავალმა გაზეთმა არ მოიწონა და სამდურავი განაცხადა, ხოლო სოციალ-დემოკრატთა მეთაურები და გაზეთები სულ სხვა ნაირად მოიქცნენ. ისინი იმას ამბობდნენ, რომ მარტო იმპერატორის სურვილსა და სიტყვას ჩვენს საკონსტიტუციო ქვეყანაში საიმისო მნიშვნელობა არა აქვსო. მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს მართლა ასე არ არის. იმპერატორმა რამდენჯერმე გაიყვანა თავისი სიტყვა წინააღმდეგ დეპუტატთა და ერის სურვილისა. ამ ჟამადაც კიდევ, იმედია, იმპერატორი განახორციელებს სასკოლო კანონთა პროექტსაც, თუმცა თითქმის სამი მეოთხედი მთელის ერისა წინააღმდეგია ამისი. ეს გარემოება უცხო სახელმწიფოებშიაც კარგადა აქვთ შეგნებული და გაგებული, თორემ გერმანიის მუშა-ხალხმა ხომ იცის და იცის.

ამიტომ ძლიერ ეწყინათ სოციალ-

დემოკრატებს თავიანთ მეთაურების ქ'კევა და ახალი დასი დააწესეს „დამოუკიდებელ სოციალისტთა", რომელმაც გაზეთებში უკვე გამოიანგარიშა შემოსავალი ლიბკნეხტისა, ბებელისა, და შემდეგი აზრი გამოსთქვა: „აბა, მაძღარი მშიერისას რას გაიგებსო".

„Vorwaerts"-ი რადიკალთა ჟურნალი აღარ არისო, ამბობენ ორატორები „დამოუკიდებელთა" დასის სხვა-და-სხვა კრების დროს: იმისი რედაქტორები მდიდრები არიან და მხოლოდ თავიანთ სიმდიდრისთვის-ღა ჰზრუნავენ, მაძღარს სოციალ-დემოკრატებთან ჩვენ საქმეს ვერ დავიჭერთო. აი ასე ლაპარაკობს ამ ჟამად ბერლინში მუშა-ხალხი.

ასეთი ამბავი და დანაწილება სოციალ-დემოკრატთა დასისა ისე დაასუსტებს ამ დასს, რომ პოლიცია ათას გვარის ღონისძიებითაც-კი ვერ მოახერხებდა ამასა.

## წვრილი ამბავი

საფრანგეთის ცნობილი მწერალი ჟულ ვერნი დასაბეჭდად ამზადებს ახალს რომანს, რომლის შინაარსადაც საფრანგეთის ესკადრის რუსეთში მისვლის ამბავი აუღია. რომანის გმირი ერთი პარიჟის გაზეთის კორესპონდენტია, რომელიც ესკადრას თან გამოჰყოლია. პეტერბურგში კორესპონდენტი სიყვარულს გაუტაცნია, იქ დარჩენილა და რამდენისამე სახიფათო შემთხვევის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა. რომანში დიდ-ძალი სურათებია აწერილი რუსეთის ცხოვრებისა.

— გერმანიის მთავრობამ ელზას-ლოთრინგში შემდეგის გაზეთების კითხვა აღკრძალა: „France", „Paris", „Justice", „XIX Siécle", „Mat d'ordre", „Radical", „Petit Parisien", „Rappel", „Petit Journal", „Lanterne", „Patrie", „Nation", „Autorite", „Soleil", „Gaulois" და რამდენიმე სხვა. ამ გაზეთებმა ამის გამო განაცხადეს, რომ „ამ გარემოებით ვამაყობთ და თავა მოგვწონს საფრანგეთის მამულიშვილებსაო".

## გასართობი

ორივ თვალებით ბრმა ბაბუას ალებისღამეს პატარა შვილის-შვილი აწვდის ხორცის ნაჭერს და ეუბნება:

— ჰა, ბაბუა, ხორცი დიდი და მსუქანიო.

— მოიტა, შვილო, დიდს ხელი იცნობს და მსუქანს ყელიო, უპასუხა ბაბუამ და გამოართვა ხორცი.

**

სასტუმროდგან ახლად გამოსული ჯიბე-ცარიელი ტუსაღი მიემურება შინისაკენ. შეუხვევს ერთს სამიკიტნოში და ეუბნება მედუქნეს:

— გაქვს რამე საჭმელი?

— გახლავს.

— რა?

— მშვენიერი თხის ხორცი, კარგი პური და კარგი ღვინო.

— მაშ მოიტა ერთი კერძი ხორცი, ნაფქს ღვინო და პური.

მეფუნდუკე მოაქვს ყველაფერი, სტუმარი მოუჯდება სუფრას და მადიანად შეექცევა. როცა ფეხებს ამოივსებს, სტუმარი ადგება, თავს დაუკრავს მედუქნეს და გაუდგება გზას.

— უმაწვილო, დანახარჯი გვიბოძეთ, დანახარჯიო, მისძახის მიკიტანი.

— ძმაო, ხორცი თხისაა პური და ღვინო ღვთისა, შენ რა მოგეცეო?!. უპასუხებს სტუმარი.

## დეპეშა

11 მარტი

**პეტერბურგი.** დღეს გამოცხადებულის უწყებიდგან სჩანს, რომ მომეტებული ნაწილი დამშეულ გუბერნიებისა უზრუნველ-ყოფილია სარჩოთი ამ ორს მომავალ თთვეზე კიდევ მეტს ხანს. ხოლო გუბერნიები: ყაზანისა, პენზისა, სამარისა, სარატოვისა და ორენბურგისა საკმაოდ უზრუნველნი არიან მხოლოდ მაისამდე. უგზოობის გამო გაჭირვება არა არის-რა მოსალოდნელი ხალხის გამოკვების საქმეში. სათესლეების დარიგების საქმეც ამ პირველ გაზაფხულისათვის გათავებულია. თესვის საქმის წარმატებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასდო 4 მილიონი მანათი იმ ფულიდგან, რომელიც სარჩოსათვის იყო შენახული.

**ბერლინი.** იმპერატორის ავადმყოფობა ის არის მხოლოდ, რომ საზოგადო დაღლილობასა ჰგრძნობს და ხრინწიანი ხმა აქვს.

ის გარემოება, რომ ასე შემცირდა რიცხვი გაზეთებისა, რომელთაც აძლევენ სამართალში მის უდიდებულესობის შეურაცხების გამო, მიეწერება თვით იმპერატორის სურვილსაო.

12 მარტი

**პეტერბურგი.** 7—10 მარტს განსაკუთრებულს კომიტეტს შეწირულება მიუვიდა 47,500 მანეთზე მეტი; აქედგან 13,000 მანათზე მეტი შესწირა ამერიკულმა „მეგობართა საზოგადოებამ", ნობელის ოჯახობამა და კურგანელ ვაჭრის სმოლინისამ თითომ 5000 მანათი და 4000 მანათიც გრაფინია კლეინმიხელის მიერ არის შეკრებილი.

**ბერლინი.** იმპერატორმა შეიწყნარა სარწმუნოებათა მინისტრის სამსახურიდგან გადადგომის თხოვნა და მოწყალედ თავისის საკუთარის ხელით დაწერილის რესკრიპტით განაცხადა სურვილი, რომ გრაფი ცედლიცი შემდეგაც სახელმწიფოს ემსახუროსო.

პეტერბურგის ბირჟა, 10 მარტი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 92 | 7, 95 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 158 1/2 | 159 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1, 15 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 238 1/2 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 3/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | 198 1/4 | — ,, | 200 1/2 |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დილისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

# განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

(სააზნაურო ბანკის ქარვასლა №№ 125 და 126):

**ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი.**

შექსპირის დრამები,

გადმოკეთებული ს. ყიფიანის მიერ

ფასი 20 კაპ.

მოვიდა!!!

საჩუქარი ლამაზ-ქალებისა

რუსულ-ქართული!

ახალი ამბავი!!!

პარიზული ფირმა

FIN DE SIÈCLE

და სხვა სამკერვალო და საკოსმეტიკო საქონელი

მაღაზიას

„ფირმის ორიგინალი"

ა. ბოლო და კომპ.

ბაზარში.

(10—6)

**პირველი ზეთის გამოსახდელი ქარხანა ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქალ. ტფილისში.**

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება ნარდად მყიდველთათვის **ზეთები**: ა) საჭმელად: შირბახტისა, სელისა, სოკოსი, კანაფისა, ბ) კანდელისა, გ) მოხარშული, სალებავ წამლებისთვის, აგრეთვე ჩენჩო ძროხებისა და ხარების საკვებად. წვრილ წვრილად შირბახტის ზეთი გირვანქიან და ორ გირვანქიან შუშებით ისყიდება შემდეგს მაღაზიებში: 1) სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, 2) კოვანის მაღაზიებში, გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლის პირდაპირ და ვარანცოვიძეგლის მახლობლად, 3) ზ. ალიხანოვთან, გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლის პირდაპირ. 4) ე. მირზახანოვთან პუშკინის ქუჩაზე, 5) გრ. ბეკანოვთან მიხეილის ქუჩა, 6) დ. მაკაროვთან ნიკოლოზის ქუჩა, საკუთ. სახლი, 7) კარკაროვთან, გოლოვინის პროსპექტი, ორბელიანის სახლის პირდაპირ და 8) სარაჯოვთან გოლოვინის პროსპექტი, ბაბანასოვის სახლი. ყოველგვარ ზეთის წვრილ წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარს საწყობებში: 1) იარმუკაზე, ბუდაღოვის სახლში, ყასბების გვერდზე, 2) თათრის მოედანი, ქალაქის ფიცრის ფარდული, 3) ოლგას ქუჩა, მებურნუთოვის სახლი, ქვის ნახშირის საწყობთან და 4) ავლაბრის მოედანი, ქალაქის ფიცრულის ფარდული № 1. (10—8)

კერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონით: ფარალისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის სისკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, № 9, სახლი პაპოვისა. (10—9)


„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების" გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების" კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა" მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

## ჯილდოს.

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ „საზოგადოების" კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების" კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიანთ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს. (10—0—7)


**ნამდვილი ზენზის საპონი მე. ლენგილისა ვენაში**

ისყიდება ყოველს საფთიაქო და სასაპნეთე მაღაზიაში. (20—8)


Дозв. ценз. Тифлисъ, 12-го Марта 1892 г. სტამბა მ. შარაძის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.